

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს  
2017 წელს გერმანია-საქართველოს წლის ფარგლებში გერმანიაში  
განსახორციელებელ პროექტებზე

**კონცეფცია**

გერმანია და საქართველო 2017 წელს ერთად აღნიშნავენ მათი ურთიერთობების მნიშვნელოვან თარიღებს სლოგანით - „მომავლის მემკვიდრეობა - გერმანია-საქართველოს წელი 2017“ (*Zukunft erben. Deutsch-Georgisches Jahr 2017*):

ორასი წლის წინ, 1817 წელს, საქართველოში ჩამოსახლდნენ პირველი გერმანელი კოლონისტები. შვაბმა პიეტისტებმა ალექსანდრე I-ის მონვევით დააარსეს პირველი კოლონიები ბოლნისსა და ასურეთში, ხოლო შემდგომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ისტორიაში.

1991 წელს გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო 1992 წელს საელჩო გახსნა ქ. თბილისში. შესაბამისად, 2017 წელს საქართველო და გერმანია იზეიმებენ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს.

გერმანია-საქართველოს წელი სწორედ ზემოაღნიშნულ ისტორიულ თარიღებს თანამედროვე რეალიებს უკავშირდება და იმის საწინდარია, რომ გერმანიამ საქართველოში და საქართველომ გერმანიაში ერთდროულად 2017 წლის განმავლობაში წარადგინონ თავიანთი ქვეყნები და კულტურა. ზოგიერთი ღონისძიება 2018 წელსაც მოიცავს, როდესაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე.

გერმანია-საქართველოს წლის გეგმას ორი ლაიტმოტივი უდევს საფუძვლად:

- წარსულის აწმყოში არსებობის იდეა
- სამოქალაქო საზოგადოების მასშტაბური ჩართულობის პრინციპი

წარსულის აწმყოში არსებობა

„წარსული არ მომკვდარა; ის ჯერ წარსულიც კი არაა“, წერს უილიამ ფოლკნერი. გერმანია-საქართველოს წლის აღნიშვნა და მასთან დაკავშირებული ისტორიული თარიღები მხოლოდ განვლილ და უმნიშვნელო წარსულად კი არ უნდა იქნას აღქმული, არამედ მომავლის კულტურულ რესურსადაც. აქცენტი უნდა გაკეთდეს

არსებულ კულტურულ ურთიერთგავლენებსა და საერთო დემოკრატიულ ფასეულობებზე, ისევე, როგორც მათ სამომავლო გაღრმავებაზე. გერმანია-საქართველოს წლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები დამატებით იმპულსს შესძენს გერმანულ-ქართული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

### სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს ის მჭიდრო ქსელი, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, ოფიციალურ კულტურულ ურთიერთობებს და მეორე მხრივ, მრავალ კერძო ინიციატივას, არასამთავრობო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების კონტაქტებს თუ მეგობრულ ურთიერთობებს. გერმანია-საქართველოს წლის ღონისძიებები დაიგეგმება ამ არსებული თანამშრომლობის გათვალისწინებით, კერძოდ, პროგრამაში მისი მონაწილეების ჩართვისა და ურთიერთობათა მრავალფეროვნების წარმოჩენის გზით.

### კონკურსის მიზანი

გერმანია-საქართველოს წელი 2017-ის ფარგლებში დაგეგმილ კულტურულ პროგრამაში ფართო საზოგადოების ჩართულობა, გერმანიასა და საქართველოში კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების პარტნიორული ურთიერთობების მხარდაჭერა და თანამშრომლობითი პროექტების ხელშეწყობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განსახორციელებლად.

### კონკურსის პირობები

- წარმოდგენილი პროექტი უნდა პასუხობდეს გერმანია-საქართველოს წელი 2017-ის კონცეფციას და შესაბამისად იყოს ორიენტირებული ორმხრივ პარტნიორულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობაზე;
- პროექტი მიმართული უნდა იყოს გრძელვადიან (მდგრად) ეფექტზე;
- წარმოდგენილი პროექტი არ უნდა იწყებოდეს 2017 წლის აპრილამდე და დასრულების პერიოდი არ უნდა სცილდებოდეს 2017 წლის დეკემბერს;
- განმცხადებელი უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ);
- სავალდებულოა გერმანელი პარტნიორის არსებობა;
- სავალდებულოა მინიმუმ 30% თანადაფინანსება (შესაძლებელია იყოს არამატერიალური სახსრებით. მაგ: სივრცე, ტექნიკური მხარდაჭერა და ა.შ.);

- გერმანია-საქართველოს წელი 2017 კონკურსის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულია 100 000 ლარი;
- სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა ერთი პროექტისათვის არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით);
- სამინისტრო არ აფინანსებს: არამატერიალური აქტივების შექმნას; საოფისე და სხვა პერმანენტულ ადმინისტრაციულ ხარჯებს (მაგ: ორგანიზაციის მუდმივი თანამშრომლის ხელფასები);
- განაცხადების მიღების ვადა: **2016 წლის 22 ნოემბრიდან 2017 წლის 6 იანვრის 17:00 საათამდე;**
- გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება კომისიის მიერ **2017 წლის 20 იანვრამდე;**
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო კონკურსში გამარჯვებული პროექტების წარმომადგენებთან გააფორმებს პროექტის ხელშეწყობის ხელშეკრულებას;
- პროექტის განხორციელების შემდეგ განმაცობრივლებელი სამინისტროში წარმოადგენს პროექტის განხორციელების შესახებ შინაარსობრივ და ფინანსურ დამადასტურებელ დოკუმენტაციას (საბოლოო წარმოდგენილი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად);
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და კომისიის წვერი ყველა უწყება იტოვებს უფლებას მოითხოვოს გარკვეული ცვლილებების შეტანა პროექტსა და წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში ხელშეკრულების გაფორმებამდე;

### **წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

- „პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კანცელარიაში ან გადმოგზავნილ იქნას ელექტრონულ მისამართზე: [mc@culture.gov.ge](mailto:mc@culture.gov.ge) "გერმანია-საქართველო წელი 2017" განაცხადის ფორმით.“
- იურიდიული პირის ამონაწერი საჯარო რეესრიდან;
- თანადაფინანსების და პარტნიორის მხარდაჭერის დამადასტურებელი წერილი (მხარდაჭერის შესახებ დეტალური ინფორმაციის მითითებით);

- სასურველია პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი ვიზუალური მასალისა და ლინკების (ვებ-გვერდის მისამართი/ბმული) დართვა (სივრცეები, ანალოგიური ღონისძიებები, ტექნიკური პარამეტრები და სხვა);

### პროექტის ძირითადი მიზნები და სამიზნე აუდიტორია

- გერმანია-საქართველოს წლის მიზანია საზოგადოებასა და მთავრობებში ცნობიერების ამაღლება მჭიდრო და მრავალმხრივი ორმხრივი ურთიერთობების შესახებ (მათ შორის პრესის მეშვეობით). გარდა ამისა, ერთობლივი წლის თარგვლებში გამართულმა ღონისძიებებმა დამატებითი იმპულსები უნდა შესძინოს გერმანულ-ქართული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, რომელიც მყარი და დინამიური იქნება.
- ღონისძიებების მიზანია, უკვე არსებული კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მრავალფეროვნება და ინტენსიობა სხვადასხვა ფორმატით წარმოჩინდეს, იმისათვის რომ გერმანულ და ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში კიდევ უფრო გაღრმავდეს ამ საერთო ისტორიის ცოდნა. ამასთანავე პროექტები ახალი თანამშრომლობების დაწყების საფუძველიც უნდა იყოს.
- გერმანია-საქართველოს წლის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ ერთი მხრივ თართო საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა და მეორე მხრივ სახელმწიფო და კერძო სრუქტურები/ინსტიტუციები, რომლებმაც უნდა მიიღონ ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

### შერჩევის წესი

- საკონკურსო კომისია შედგება 2017 გერმანია-საქართველოს წლის პროექტის კომიტეტის წევრებისაგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან გერმანიის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები;
- კომისიის წევრებს შეუძლიათ წარმოადგინონ რეკომენდაციები წარმომადგენილ პროექტებთან დაკავშირებით;
- კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3 მაინც;
- გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით;

- კომისიის წევრი, რომელიც არ ესწრება სხდომას, უფლებამოსილია თავისი მოსაზრება (ხმა) კომისიას წარუდგინოს წერილობით;

### საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ:

კულტურის პოპულარიზაციის სამმართველო: 2 99 91 96

პროექტის შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართება ღია კონსულტაციები 2016 წლის 1 და 8 დეკემბერს, 14:00 საათიდან - 16:00 საათამდე.